# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 74 ნიუ იორკი, ივლისი 1966 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, JULY 1966


ნიუ იორკი, ივლისი 1966 წ.

## კავკასიის დამოუკიდებლობის დღესასწაული ნიუ იორკში

(იბეჭდება შემოკლებით)

მაისის 22-ს, გაერთიანებული კავკასიის ორგანიზაციის თაოსნობით გადახდილ იქნა სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის დამოუკიდებლობის 48 წლის თავი.

დარბაზი მორთული იყო ამერიკული და კავკასიის ერების ეროვნული დროშებით.

კავკასიელების გარდა ზეიმს მრავლად დაესწრნენ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების და აშშ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალ-ვაჟები უცხოელების, და კერძოდ, ჟურნალისტების ალტაცების ცენტრში იყვნენ.

დარბაზის ბოლოს აღმართულ ესტრადის გასწვრივ ისხდნენ : მამა ბოკაპულოსი, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის მართლმადიდებელთა არქიეპისკოპოსის, იაკოვის წარმომადგენელი, ჩრდილოეთ კავკასიის მოლა ემერ აბუკი, სასომხეთის აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის სათვისტომოების თავმჯდომარეები და საბჭოეთის მიერ დაპყრობილი ერების ორგანიზაციების მეთაურები.

ოთხის ნახევარზე საზეიმო კრება გახსნა მისმა საპატიო თავმჯდომარემ, სასომხეთის რევოლუციური ფედერაციის ცენტრალური კომიტეტის და სასომხეთის დამოუკიდებლობის ამერიკული კომიტეტის წარმომადგენელმა ბ-ნ ს. დარდუნიმ და ბკო თავმჯდომარეს, ბნ ა. ჩხენკელს სთხოვა საზეიმო კრებისათვის ხელმძღვანელობა გაეწია. ა. ჩხენკელი მიესალმა და მადლობა გამოუცხადა როგორც ბ-ნ დარდუნის, ისე დამსწრე სტუმრებს და მისივე სიტყვით „თავის ძვირფას კავკასიელ დებსა და ძმებს“. ამ მოკლე მიმართვის შემდეგ, ჩხენკელმა დამსწრეთ სთხოვა ფეხზე ადგომით პატივიეცათ კავკასიის ერების ეროვნული დროშებისათვის.

სადარბაზო შესასვლელიდან შემოვიდა თეთრ ჩოხიანი, ალვის ხესავით აღმართული კავკასიელი, რომელსაც ნელი, ლაღი ნაბიჯით მოსდევდნენ შეერთებული შტატების და ოთხივე კავკასიელი ერების ეროვნული დროშების მებაირაღეები.

მოწიწების და პატივისცემის ნიშნად ამერიკელმა მანდილოსნებმა მარჯვენა, უხელთათმანებო ხელი გულზე დაიდეს, ამავე დროს სხვები მხურვალე ტაშით აჯილდოვებდნენ თვითეული დროშის ქვეყნის გამოცხადებას.

მებაირაღეები ავიდნენ ესტრადაზე და საპატიო მაგიდის უკან ჩამწკრივდნენ.

როდესაც ტაში და ოვაციები შაწყდა, მამა ბაკოპულოსმა და მოლამ, ლოცვით მოიხსენიეს კავკასიის დაპყრობილი ერები და დამსწრეთ უსურვეს მათი მალე განთავისუფლების ხილვა. „რომ 26 მაისი კვლავ იყოს მთელი კავკასიის გამარჯვების სიმბოლო...ამინო“ დაამთავრა მოლამ თავისი ლოცვა. ლოცვას მოჰყვა აშშ ეროვნული ჰიმნი.

სანამ აუდიტორია დაჯდებოდა, ჩხენკელმა სთხოვა ერთი წუთის სიჩუმე კავკასიის ერების დამოუკიდებლობის ფუძემდებლების და სამშობლოს ეროვნულ იდეებში ჩაფერფლილ მამულიშვილების ხსოვნის პატივსაცემად.

სამარისებულ სიჩუმეს მხოლოდ სამხედრო ბუკის ნელი, სევდიანი ხმა არღვევდა, რომელიც ასრულებდა „სამახსოვრო სალამი მიცვალებულებს“. როდესაც ყოველივე მიწყნარდა ალ. ჩხენკელმა, ინგლისურ ენაზე დამსწეთ გააცნო კავკასიის ერების რამოდენიმე ათასწლოვანი ისტორია. „ქრისტეს დაბადებამდე ათი საუკუნით ადრე კავკასიის ქვეყნები სოციალურად და კულტურულად დაწინაურებულ ერებად ითვლებოდნენ მცირე აზიის და დღევანდელ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა შორის. აზროვნების თავისუფლება და სქესთა პოლიტიკური თანასწორობა კავკასიის ქვეყნებში გაცილებით უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე დასავლეთ ევროპაშიო“. შემდეგ ჩხენკელმა ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის მუხანათური და სულთამხუთავი ბუნება. „ჩვენ, განსაკუთრებით ჩვენ, კავკასიელებმა ვიცით პირადი გამოცდილებით, რომ კომუნისტურ კოლონიალიზმთან ბრძოლა და გამარჯვება მხოლოდ გაერთიანებული ძალებით არის შესაძლებელი, რომელშიც ღრმად იქნება ჩაქსოვილი კავკასიის ერების გამანთავისუფლებელი ინტერესები.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა სპარსეთის და ოსმალეთის მიერ აწიოკებულ კავკასიაში რუსეთის, თითქოს, მეგობრულად და მფარველად შემოჭრა და შემდეგ მხოფლიოში ამ ოთხ უძველეს ერების თავის გუბერნიებად გამოცხადება. „მაგრამო—სთქვა მან,—ისეთი მეომარი და თავისუფლების მოყვარე ერები, როგორც კავკასიელები არიან, ასე იოლად ვერ შეურიგდებოდნენ ეროვნული თავისუფლების დაკარგვას და მრავალჯერ მიმართეს იარაღს“. მოწიწებით მოიხსენია კავკასიის ერების დიდი მამულიშვილები, რომლებმაც თავიანთი სურვილის გამომხატველ წყობილების აღსადგენად აჯანყება-აჯანყებას მიაყოლეს. „მარტო საქართველოშიო, —განაცხადა მან,—1801-ლი წლის ანექსიიდან პირველ მსოფლიო ომამდე 28 აჯანყებას ჰქონდა ადგილი. მაგრამ თვითეული მათგანი სისხლში ჩაახრჩო რუსის ხიშტმა. რუსეთი სამოცი წლის ომი დასჭირდა კავკასიის დასაპყრობად“-ო.

შემდეგ ჩხენკელმა მოკლე ანალიზი გაუკეთა კავკასიის ერების მდგომარეობას რუსეთის რევოლუციის დროს და გაერთიანებული კავკასიის დამოუკიდებლობას. „რუსეთი, მართალია შეცვლილი ნიღაბით, მაგრამ იგივე ტრადიციული ვერაგობით მეორეჯერ შემოიჭრა კავკასიაში და რიგრიგობით დაიპყროო“ მან ხაზი გაუსვა იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რომელიც კავკასიის თვითეულმა ერმა დამპყრობელ რუსეთს მისცა, ვიდრე რიცხობრივობამ თავისი არ გაიტანა. კავკასიის ერების დამოუკიდებლობა რუსეთმა მოსპო, მაგრამ ამ ბრძოლებმა ორი რამ დაუმტკიცეს მაშინდელ კაცობრიობას: 1. საბჭოთა რუსეთის ნამდვილი კოლონიალური ბუნება და თვალთმაქცური პოლიტიკა. მეორე, რომ კავკასიის ერები უცხო ბატონობის წინაშე ქედს არ იხრიან და დაკარგული თავისუფლების აღსადგენად არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან. შემდეგ მომხსენებელი შეეხო მეორე მსოფლიო ომს და მის შემდგომ მოვლენებს.

„მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ,ო—განაცხადა,— ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში. მის ყოველ კუთხეში წარმოიშვა ახალი სახელმწიფოები და კოლონიალიზმის აღმოფხვრა გრძელდება. მაგრამ საბჭოთა რუსეთი, რომელიც თვითგამორკვევის უფლებას და კოლონიალიზმის დამხობას დაჟინებით მოითხოვდა, თვით დარჩა აგრესიული და იმპერიალისტული.ო“

ბ-ნმა ჩხენკელმა აღწერა რა კავკასიის ერების დამოუკიდებლობისადმი ლტოლვა, მან განაცხადა, რომ ისინი არასდროს არ შეურიგდებიან საბჭოთა იმპერიალიზმს და ქედს არ მოიხრიან დამპყრობელის წინაშე. „კავკასიის ერებს დევნა აკაჟებს, ტირანია ავაჟკაცებს და უბედურება აერთიანებსო“. შემდეგ ა. ჩხენკელმა მოკლე ანალიზი გაუკეთა „ბკო“ შესაქმნელად გაწეულ შრომას, რომლის მიზანია ყველა ანტიკომუნისტ კავკასიელის გაერთიანება იმ იმედით, რომ კავკასიური ერთობა კვლავ აღსდგება და ერთ მთლიან ეროვნული დროშის ქვეშ თავს მოიყრიან მისი შვილები თვითეული მათგანის თავისუფლების და კეთილმეზობლობის საფუძველზე.

„ამ დიადი იდეის წარმომქმნელები უკვე აღარ არიან ცოცხალთა შორის, ჩვენ, მათ ჩთამომავლებს გვეანდერძა კავკასიის ერთობის იდეისთვის ბრძოლა და შრომა. ჩვენი გზა და იდეალი მიიმართება გაერთიანებული კავკასიის შექმნისაკენ. ჩვენი მთავარი ლოზუნგია: „გაერთიანებულნი ჩვენ ავშენდებით—დაყოფილნი დავიქცევით“. ჩხენკელმა მოუწოდა თავისუფალ ქვეყნებში მცხოვრებ კავკასიელებს ისე განუყოფელად მიეძღვნენ სამშობლოს განმათავისუფლებელ ბრძოლას, როგორც იქ, კავკასიის დაპყრობილი ერები იბრძვიან. ჩვენი მისწრაფება მშვიდობიანობაა, მაგრამ სამართლიანი მშვიდობიანობა, დღევანდელი ე. წ. „მშვიდობიან თანაარსებობის“ კონცეპციის გარეშეო“.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ჰამილტონ ფიშმა. (ანტიამერიკული მოქმედების სავამომძიებლო კომიტეტის დამაარსებელი, ყოფილი კონგრესმენი, და ლაფაიეტის სახელობის ამერიკული ორგანიზაციის თავმჯდომარე) ბ-ნმა ფიშმა ხაზგასმით აღნიშნა რუსული იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკა, განსაკუთრებით პატარა ერების მიმართ. მან დიდებით მოიხსენია კავკასიის ერების გამძლეობა, დამოუკიდებლობისადმი ლტოლვა და მათი ეროვნული ნებისყოფა, რომელიც არც ერთ მომენტში არ შესუსტებულაო. „თქვენისთანა ერების სუვერენულად ცხოვრება რეალობაა. დრო, მხოლოდ დროა საჭირო და კავკასიის ერები კვლავ მოიპოვებენ სუვერენობას. მე ვიცი, რომ თქვენი ქვეყნები ჩვეული ვაჟკაცობით იტანენ ბოლშევიკურ სივერუეს და ბარბაროსობას. რაც უფრო მწარეა საბჭოების მიერ მიყენებული ტკივილი, მით უფრო დიდია თავისუფლებისათვის ლტოლვაო“. შემდეგ ბ-ნ ფიშმა მიუთითა თავისუფალ ერების დარაზმვას იმ ბრძოლაში, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს საბჭოთა იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის წინააღმდეგ. „მაგრამ ერები, რომელნიც თქვენსავით იგონებს და აღნიშნავს დამოუკიდებლობის 48-ვე წლისთავს, — ფსიქოლოგიურად დამოუკიდებლები არიან. ფაქტიურად თქვენი კვლავ აღდგენა და თქვენი დამპყრობელის დაცემა მხოლოდ დროს საკითხია. ამ ხნის განმავლობაში კი, თქვენ უნდა შეინარჩუნოდ თქვენი მისწრაფება. ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ მარტონი აღარა ხართ, თქვენ გემატებათ ახალი მოკავშირეები, საბჭოეთი კი მარტოვდება, ჰკარგავს თავის ძალას, მეგობრებს, მიდის დათმობაზე და ყველაფერი ეს თქვენი უძველესი ქვეყნების განთავისუფლების მომასწავებელია. გადაიტანეთ ეს ტანჯვის მომენტი, ჩემი რწმენა იყო და არის, რომ თქვენი განთავისუფლების განთიადი ახლოვდება. საბჭოეთის მზე უკვე ჩადის. მოგილოცავთ თქვენი დამოუკიდებლობის 48-ვე წლისთავს“.

შემდეგ გამოვიდა დაპყრობილ ერების გამანთავისუფლებელი ამერიკელ მოქალაქეთა ორგანიზაციის თავმჯდომარე ბ-ნ ალფრედ კორნი. მან დამსწრეთ მიულოცა კავკასიის დამოუკიდებლობის 48-ვე წლისთავი და კავკასიელებს უსურვა მტკიცედ შეინახონ კავკასიის სუვერენობის ტრადიცია და კულტურა. „ჩემი საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით ეგებება თქვენს ღონისძიებებს და სიმპატიით ვხვდებით თქვენს დაუშრეტელ იმედებს, რომ კავკასიის ერები აღიდგენენ თავისუფლებას და კვლავ დაიჭერენ თავის კუთვნილ საპატიო ადგილსო“.

შემდეგ ილაპარაკა ნიუ იორკის შტატის მასონების დიდი ლოჟის თავმჯდომარე კაპ. ვიზერსპუუნმა. „დიდი სიამოვნებით მივიღე თქვენი დაპატიჯება დავსწრებულიყავ კავკასიის ერების დამოუკიდებლობის 48-ვე წლისთავის აღნიშვნას. მოგილოცავთ ამ დიად თარიღს, რომელსაც ჩემი ორგანიზაცია ძალიან აფასებს. გთხოვთ მიიღოთ ჩემი რწმუნება, რომ ჩვენ უერთდებით თქვენს ბრძოლას და გვჯერა, რომ ახლო მომავალში გაერთიანებული კავკასიის ერები იქ, ჭალარა კავკასიონის კალთებზე იდღესასწაულებენ განთავისუფლების თარიღს. იქამდე კი მე თქვენს განკარგულებაში ვარ და გთხოვთ მომიხმაროთ როგორც საჭიროდ დაინახავთო“.

სამწუხაროდ, დროისა და ადგილის შეზღუდვის გამო მოვიხსენიებთ მხოლოდ დაპყრობილ ერების ორგანიზაციების თავმჯდომარეებს და წარმომადგენლებს, რომლებიც ბკო-ს საინიციატივო ჯგუფის ინიციატივას და დამსწრე საზოგადოებას აღფრთოვანებული სიტყვებით მიმართეს. ყველამ გამოთქვა იმედი, რომ მონობის და კოლონიალიზმის მოსპობის შემდეგ, ადრე თუ გვიან, საბჭოთა იმპერიალიზმსაც ბოლო მოეღება. მაშინ ჩვენ კვლავ ვიხილავთ ჩვენ სამშობლოებს თავისუფლებსო. იმედით აღსავსე სიტყვებით მიმართეს საზოგადოებას უკრაინის, ბელორუსიის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ესტონიის, ლატვიის და ლიტუანის სათვისტომოების თავმჯდომარეებმა.

როგორც წითელი, ისე თეთრი რუსეთის პროპაგანდით კავკასიის ერები რუსეთის მონათესავე ხალხია, რომელთაც „რუსული რჯული, რუსული კულტურა და ენაც კი რურუსლი აქვთ“. ამის გასაქარწყლებლად საკუთარ ენებზე სიტყვები წარმოსთქვეს: სასომხეთის წარმომადგენელმა სტეფან დარდუნიმ, აზერბაიჯანის სათვისტომოს თავმჯდომარე ბაბა ოღლიმ, ქართული სათვისტომოს მდივანმა ი. მენთეშაშვილმა და ჩრდილო კავკასიის სათვისტომოს თავმჯდომარე შახმანმა.

---

### ბ-ნ ი. მენთეშაშვილის სიტყვა.

საზოგადოთ აღიარებულია, რომ რამდენათაც ბრძოლა ხანგრძლივობაში გადადის, იმდენად მებრძოლთა რიგები მცირდებიან და სუსტდებიან. მაგრამ, შეუძლებელია დაუშვათ, რომ ჩვენი რიგების შემცირება მარტო ამ პრინციპით არის გამართლებული.

ჩვენის აზრით, დასავლეთ-საბჭოეთის მიერ „კულტურულმა“ გაცვლამ და საქართველოდან გაწვრთვნილი პროპაგანდისტების ევროპა-ამერიკაში მოგზაურობამ, უფრო მეტი როლი ითამაშა, ვიდრე რომელიმე სხვა „პრინციპებმა“.

რუსული იმპერიალიზმის მონა-მოგზაურები, უმთავრესად უიდეოლოგიო ხალხში დატრიალდნენ. ამგვარი „ემიგრანტები“ რიცხობრივად, შეიძლება, სჭარბობენ კიდეც იდეურ მებრძოლებს და თითქოს მშობლიური მიწა-წყლის მოყვარულნი თავისი საქციელით ჩეკის და რუსული კომუნიზმის აგენტებს, საფუძველს აძლევენ განაცხადონ, რომ პოლიტიკური ემიგრაცია აღარ არსებობსო.

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის უზარმაზარი ნაწილი პროპაგანდას ხმარდება. ამაში „საპატიო“ ადგილი ანტიქართულ პროპაგანდას უჭირავს.

მოსკოვი და მისი ქართველი ლაქიები ამტკიცებენ, რომ სტალინის შემდეგ საბჭოეთში ყველაფერი გამოიცვალა და იქ ნამდვილი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება დამყარდა. ამ პროპაგანდის სიყალბეს ააშკარავებს თვით მათი ახალი ლიდერის, ბრეჟნოვის და სტურუას მიერ ახლო წარსულში გაკეთებული პროსტალინური განცხადებები. ამ დებულების არარაობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ ორიოდე გარეწარის გამოკლებით, მთელი ქართველი ერი მძიმე მონური შრომის უღელშია შებმული, ნაშრომს კი მოსკოვია დაუფლებული. ვერც ის ფაქტი სცვლის მათ ყალბ დებულებას, რომ საქართველოს განაგებს მოსკოვი და არა თბილისი და რომ ქართულ მთავრობათ წოდებული, საოკუპაციო ხელისუფლების დასაყრდენი რუსული ხიშტია.

დღევანდელი თავშეყრილობა ნათლად ღაღადებს, რომ შეიძლება რიგები შემცირდა, მაგრამ არ შესუსტებულა. საბჭოეთის თავდასხმებმა განამტკიცეს არა მარტო ქართული ემიგრაციის რიგები, არამედ მთელი კავკასიური, ანტიკომუნისტური და ანტირუსული მებრძოლი ძალები.

დაე მოსკოვმა ამტკიცოს, რომ ანტირუსული პოლიტიკური ემიგრაცია მოისპო, ჩვენ კი ამ თავდასხმებს ერთობით უპასუხებთ და სიამაყით ვატარებთ ჩვენი ქვეყნის განმანთავისუფლებელ ბრძოლის დროშას.

საბჭოეთის დაწოლამ შეაერთა ოთხი კავკასიური მოძმე ერის ემიგრაცია და ის აღთქვამს, რომ არც ერთ მომენტში, არც ერთ გარემოებაში ბრძოლის დროშას არ დახრის.

მას ან გამარჯვებამდე მივიტანთ, ან პინათლად გადავცემთ მომავალ თაობას.

---

შემდეგ ბ-ნ ჩხენკელმა დამსწრეთ სთხოვა ფეხზე დგომით მოესმინათ სასომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ეროვნული ჰიმნები. დამსწრენი დიდი ყურადღებით ისმენდნენ და დიდი ინტერესით უმზერდნენ, რომ, როცა ერთი კავკასიელი ერის ეროვნული ჰიმნი სრულდებოდა, ამ ერის ეროვნული დროშა აღმართული იყო და სხვა ერების კი დახრილი, სალამის ნიშნად.

შემდეგ ანა სიდამონ ერისთავის ასულმა წაიკითხა მისალოცი წერილები და დეპეშები, რომელიც ბკო-ის თავმჯდომარემ მიიღო კავკასიის ერების დამოუკიდებლობის 48-ვე წლისთავის გამო.

შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი და საგარეო საქმეთა მინისტრი როსკი, მწუხარებას გამოსთქვავენ, რომ უდროობის გამო ვერ დაესწრებიან დამოუკიდებლობის ზეიმს, მაგრამ გულწრფელად უსურვებენ წარმატებას,„რომელსაც შეუძლიან მნიშვნელოვანი როლის თამაში ეროვნული ინტერესების საქმეშიო“. ნიუ იორკის შტატის გუბერნატორი, ნელსონ როკფელერიც მწუხარებას გამოსთქვავს, რომ თავისი შტატის წლიური ყრილობა შეუძლებელსა ხდის მის ზეიმზე დასწრებას და ბკო და კავკასიის ერებს უგზავნის საუკეთესო სურვილებს მალე განთავისუფლებისათვის. ნიუ იორკის ქალაქის თავმა ჯონ ლინდზიმ და მისმა თანაშემწე კ. სიდამონ-ერისთავმა ზეიმზე დამსწრეთ უსურვეს საუკეთესო მიღწევები. ყოფილმა ვიცე პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა მოწვევისთვის ულრმესი მადლობა შემოთვალა და მწუხარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოთა

(დასასრული. იხ. „ქ. ა.“ № 73)

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები...“

მცირე და უმნიშვნელო რიცხვი ქართველი ერისა, თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც საზღვარგარეთ ცხოვრობს და მოქმედობს. ბუნების კანონით ეს რიცხვი ყოველწლიურად სულ მცირდება. თითქოს ყოველი ერისათვის ხელსაყრელია საზღვარგარეთ ღირსეული წარმომადგენლები ყავდეს. მაგრამ არა, თუ ყურ მოჭრილი ქართველი მოხელეები სიამოვნებით ხელს უწყობენ ამ მცირერიცხოვან და მრავალ ქვეყნებში გაფანტულ ემიგრაციის დანგრევას, არამედ ისენი რავის „მეცნიერულ“ კარიერას აკეთებენ ყალბი „ისტორიების“ წერით და მრუდე ჭორების გავრცელებით. დიდი იმპერიისათვის, როგორც რუსეთია, არაფერია ამ „საქმისათვის“ მილიონების დახარჯვა, რომელიც სადაზვერვო თვალსაზრისით მუდამ რამეს მოიტანს: მუდამ სადმე სუსტი და „შემძრომი“ აღმოჩნდება...

მეორეს მხრივ, „მეცნიერულმა“ პოლიციამ კარგად იცის, რომ ძლიერებს ის ვერ დაანგრევს, მაგრამ ფიქრობს მათი გამძლეობის ძალღონეს გაიგებს და ამის მიხედვით ადგილობრივად მიიღებს მათ წინაალმდეგ ზომებს.

ამაო არის და იქნება მათი ცდა. პოლიციური სიმრუდე მუდამ იყო და დარჩა უძლური სამართლიანი აზრის და მოქმედების წინაშე. პოლიცია ვერ შეამჩნევს და ვერც გადასჭრის იმ უხილავ ძაფებს, რომელნიც აერთებენ საქართველოს ერთგულ შვილებს და ერთ ძაფთაგანი პოლიციისათვის მიუღწეველი სწორედ „ვეფხისტყამსნის“ ზნეობაა.

შოთა რუსთაველი მართლაც განუყოფელია მძლავრი პოლიტიკური მოქმედბიდან. ამიტომ საზღვარგარეთელი პოლიტიკური მოღვაწენი და მებრძოლნი თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ შოთას. ზოგი მათი შრომები დაიბეჭდა კიდეც, დაწყებული ნოე ჟორდანიით („ვეფხისტყაოსანი“, პორიზი, 1930 წ.) და აწ ვ. ნოზაძემდე მიაღწია. რ. გაბაშვილმა სცადა „ვეფხისტყაოსნის“ შედარება სერვანტესის „დონკი ხოტთან“, თემა რომელზედაც არა ერთხელ მიუთითა ზ. ავალიშვილმა თავის მეცნიერულ ბაასებში. თვით ზ. ავალიშვილმა პ. ინგოროყვას „რუსთველიანით“ წაქეზებულმა 1931 წ. გამოაქვეყნა ოთხი მონოგრაფი ვეფხისტყაოსნის შესახებ, რამაც გამოიწვია საქართველოშიც ზოგი კვლევძიება, კერძოდ, „კუპრი შოთას“ გარშემო. შ. ნუცუბიძემ კი პასუხიც გასცა ზ. ავალიშვილს თავისი „ჯვარედინ“ ფილოსოფიის დასაცავად. შ. ნუცუბიძე თუ დღეს ცოცხალია, ამბობენ, შოთას წყალობითო, რადგან თავისი ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნით ის გადაურჩა სიკვდილს ვიდრე ზ. ავალიშვილის შრომა დაიბეჭდებოდა იგი წაკითხულ იყო 1929 წ. ქართველ ახალგაზრდათა რუსთაველის სახელობის აკადემიურ კავშირში.

„რუსთაველის სახელობის კავშირის“ დამაარსებელი და სულის ჩამდგმელი იყო ნიჭიერი და რუსთაველის კარგი მცოცდნე ვახტანგ მაჩაბელი. მის მახლობელ თანამშრომელთა შორის იყო ფრიად განათლებული გიორგი ზურაბიშვილი და სხვა მრავალთან ერთად მ. მუსხელიშვილი, რომელიც შემდეგ გახდა სტრასბურგის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი.

ქალაქი სტრასბურგი თავისებურად დაახლოვებულია შოთა რუსთაველთან და მის ქვეყანასთან. ოლივერ ვორდროპი (1864-1948) ცნობილი ქართველოლოგი მეცნიერი იყო დიდ ბრიტანეთის გენერალურ კონსულად სტრასბურგში. ო. ვორდროპი იყო ინგლისის წარმომადგენლად თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის დროს და მჭიდრო თანამშრომელი თავისი დის მარჯორი ვორდროპისა (1869-1909), რომლის ვეფხისტყაოსნის მეცნიერული თარგმანი (გამოქვეყნებული 1910 წ.) დღესაც დიდად მნიშვნელოვანია რუსთველოლოგიისათვის. სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა იოსებ კასტრმა ჯერ მოკლე მიმოხილვა მიუძღვნა ქართულ ლიტერეტურას, ვიდრე გამოაქვეყნებდა დიდ შრომას ვახტანგ მეფის კანონმდებლობის შესახებ და საყურადღებო გამოძიებას ქართველ ტომთა პრე ისტორიაზე ბასკებისა და ქართველების ნათესაობის შესახებ. ი. კარსტის უკანასკნელი შრომები გამოწვეულია ცნობილი ქართველოლოგის და მეცნიერული რუსთველოლოგიის დამაარსებელ ნიკოლოზ მარის იაფეტური თეორიის ზეგავლენით.

ნ. მარის სახელის ხსენებაც აკრძალული იყო ერთ დროს საქართველოში. ცნობილი ორიენტალისტის ეპისკ. გრაფენის შუამავლობით ნ. მარი იყო მიწვეული პარიზში, სადაც მან დაარსა ქართული ენის კათედრა პარიზის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების სკოლაში. თვით ნ. მარი ლექციებს კითხულობდა 1926-27 წლის ზამთარს და 1928 წ. ზაფხულს. მაშინ ნ. მარმა გაალრმავა თავისი ბასკური ენის ცოდნა. ბასკური ენის მის მასწავლებელს მე კარგად ვიცნობდი. ეპ. გრაფენი იყო. მჭიდროდ დაკავშირებული ექვთიმე თაყაიშვილთან და ელენე და ანდრო დეკანოზიშვილებთან. ელენე ელიაშვილი-დეკანოზიშვილისა მხურვალე და ბეჯითი თანამშრომელი იყო გრაფენ-მარის საქმიანობის და თავისი ჯაფა განაგრძო მ. ბრიერთან, როცა ის გახდა ქართული ენის პროფესორი ნ. მარის საბჭოთა კავშირში დავრუნების შემდეგ. მარმა და ბრიერმა გამოსცეს (1931 წ.) მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომა „ქართული ენა“ (ფრანგულად) ნ. მარის გარდაცვალების გამო ექვთიმე თაყაიშვილმა, ხალხით გაჭედილ პარიზის კათოლიკურ უნივერსიტეტის დიდ დარბაზში, დაწვრილებით გვიამბო ნ. მარის ცხოვრება და მისი ღვაწლი. თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელნი და თითქმის ყველა მაშინდელი სიბრძნისმეტყველობის ფაკულტეტის გამოჩენილი პროფესორები ითვლებიან ნ. მარის მოწაფეებთან. ნ. მარის სიკვდილს მიუძღვნა დიდად საყურადღებო „კრიტიკული ნეკროლოგი“ მიხაკო შერეთელმა, რომელიც თავის დროზე „თეთრი გიორგში“ დაიბეჭდა. ცნობილმა პოლიტიკურმა მებრძოლმა და მეცნიერმა მ. წერეთელმა თავისი ცხოვრების ათეული წლები მიუძღვნა ვეფხისტყაოსანს. მისი მნიშვნელოვანი შრომა „ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენა“ მან დაასრულა 1950 წ. პირველი ნაწილი „ვეფხისტყაოსნის აღდგენილი ტექსტი“ დაიბეჭდა 1961 წ., მეორე ნაწილი „ჩანართები“ მოელის გამოცემას. მ. წერეთელს ჰქონდა აგრეთვე დასრულებული ვეფხისტყაოსნის „თარგმანი“ თანამედროვე ქართულზე და თარგმანი გერმანულ ენაზე. თარგმანები ჯერ არ გამოქვეყნებულა. მ. წერეთელს ეკუთვნის გერმანული თარგმანი ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. ქართულმა საზოგადოებამ პარიზში თავისდროზე გამოსცა ბალმონტის სრული თარგმანი რუსულ ენაზე. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის გიორგი გვაზავას ნაჩქარევი ფრანგული თარგმანი ეხლა შესცვალა ს. წულაძეს თარგმანმა.

ეს არის რაც უცაბედად გავიხსენე, რაც საზღვარგარეთ გაკეთდა შოთას და მისი ქვეყნის სადიდებლად. გაკეთდა და კეთდება არა ჩინების, ხარისხის და მედლების მისაღებად, ან რომელიმე პატრონის დასაკმაყოფილებლად და კარიერის გასაკეთებლად, არამედ სულ ბუნევრივი სამშობლოს სიყვარულით.

ეს უანგარო სამშობლოს სიყვარული, სარუსთაველო სიყვარული, მთავარი დამახასიათებელი თვისებაა საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის. ადამიანი მართლაც უნდა იყოს საქართველოს იდეის სრული რენეგატი და კრიმინალი, რომ ამ ემიგრაციას ქვა ესროლოს და მისი დარღვევა განიზრახოს.

შეგნებული ქართველი, აქა თუ იქ, ერთნაირად გრძნობს შოთას დიდებას, ამიტომ რუსეთის მოხელეთა მიერ 1966 წელი მიძღვნილი რუსთაველის დაბადებას, ბოროტი ზრახვით, ხალხის პოლიტიკურად მისაძინებლად და მოსატყუებლად, სხვა ნაყოფს გამოიღებს. ამ ნაყოფის მომწიფებას ქართველი საზღვარგარეთ გულხელდაკრეფილი არ მოუცდის, რადგან ის მუდამ მზად არის ყველა საშუალებას მოჰკიდოს ხელი და ყველა შემთხვევას, რათა სამშობლოს ბედი გაუადვილოს.

გავჩერდი, დავხედე საათს, სათაურს, გადავათვალიერე დაწერილი და ჩავფიქრდი... ნუ თუ შოთაზე ფიქრმა შემაცდინა, სხვა ფერად ასაზრდოვა ჩემი კალამი და ჩაარბენინა იგი სხვადასხვაობაზე? მყისვე დავრწმუნდი რომ არა. მეტიც; ვიგრძენი, რომ შეგნებული წამკითხველიც დამერწმუნება, რომ აქ გასაყოფი არაფერია და არც მთლიანობის დამრღვევი, რადგან საზრუნავი ჩვენი ხომ ერთია, ჯამი ერთი, ფიქრი ერთი.

ამას გარდა თავისუფალი სუნთქვა, თავისუფალი ჟურნალიზმი, არის სწორედ ის მალამო, რომელიც ძლიერ ესაჭიროება ნახევრად დამუნჯებულ და ნახევრად დახრჩობილ სამშობლოს.

საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ შოთა რუსთაველის დაბადებისთავის ზეიმის ნიადაგი, გარემო და შეგნება საუკუნეების მიერ იყო მომზადებული. „ქართლის ცხოვრებით“ რომ შევზღუდოთ იგი, წარსულში ბევრი იყო თვალსაჩინო მწერალი და პოეტი, მაგრამ მხოლოდ მწერლობაში არ არის ძალა. დღეს ჩამქრალ ერებსაც ჰქონდათ მწერლობა... მწერლობაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის ულმობელი ისტორიის კანონი, რომელიც ამბობს: იქ სადაც არ არის მტკიცე რწმენა, სპეტაკი იდეალი და მისთვის წამებულები, ე. ი. მარტვილები, ის ერი ჭკნება და კვდება. ეს კანონი იშვიათი სიძლიერით აღნიშნა შოთა რუსთაველის წინაპარმა, დაახლოვებით ოთხი საუკუნით ადრე დაბადებულმა.

ეს გვაგონებს იმ ხანას, როცა ქართველი მოხელეები მოსკოვის მაგიერ ბაღდადში დადიოდნენ და თვალწინ გვიდგება ქართულის უდიდესი ოსტატი, მჭევრმეტყველი და სათნო იოანე საბანისძე. თუმცა დღევანდელი საქართველო, ჯერჯერობით, სარუსთაველო ქვეყანა დანამდვილებით არ არის, მაგრამ სრული ღმერთის სიყვარულით, ვანდობთ თავსა შევიმედით, უდრეკი რწმენით და შოთა რუსთაველის ღმერთის სიყვარულით, ვანდობთ თავსა ჩვენსა საქართველოს დედაქალაქის მფარველს და პატრონს, წმინდა აბოს.

**გ. ჯაყელი**

## დამოუკიდებლობის დღესასწაული

(დასაწყისი იხ პირველ გვერდზე)

გამოსთქვა, რომ ასეთ საყურადღებო შემთხვევაში ის ზეიმს ვერ დაესწრება და თავისი უაღრესი სურვილი გამოთქვა ღონისძიებების წარმართებისთვის. სენატორ ჯეიკობ ჯევიტმა თავის დეპეშაში განაცხადა: „ყოველი ამერიკელი უნდა დაეხმაროს კომუნისტური იმპერიალიზმის მიერ კავკასიის დაპყრობილ ერებს თავიანთი დამოუკიდებლობის აღსადგენად. თვითგამომრკვევის პრინციპი არის პასუხი ტირანიის წინაალმდეგ და ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ მის დასაცავად. გთხოვთ დარწმუნდეთ ჩემს შეუწყვეტელ დახმარებაში და ჩემი ღრმა სალამი და სიმპატია გადასცეთ დამსწრეთო“. სენატორ ევერეტ დირკსენმა და ყოფილმა საპრეზიდენტო კანდიდატმა ბარი გოლდვოტერმა გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები გამოუგზავნეს ბპოუ-ის. კონგრესის წევრის ჯონ დაუს წერილში ნათქვამია: „მე ვეწინაალმდეგები სასომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ოკუპაციას. ვესალმები თქვენს ძალღონეს და გისურვებთ სინათლე მოჰფინოთ სიბნელით მოცულ კავკასიის ერებსო“. კონგრესმენი ედუარდ დერვინსკი იმედს გამოსთქვავს, რომ ამ თაოსნობით და ეროვნული სურვილებით საბჭოეთის მიერ დაპყრობილი ერები დაიბრუნებენ თავისუფლებას და კაცობრიობის ოჯახში ღირსეულ ადგილს დაიჭერენ. მაშ განაგრძეთ თქვენი მისწრაფების სისრულეში მოყვანაო“. რადიოთავისუფლების თავმჯდომარე ჰაულონ სარჯანტმა თავის წერილში მწუხარება გამოსთვა, რომ ვერ დაესწრება კავკასიის ერების დამოუკიდებლობის საზეიმო კრებას და საუკეთესო სურვილებთან ერთად გამოსთქვავს ღრმა რწმენას, რომ კომუნიზმის მიერ დაპყრობილი კავკასიის ერები კვლავ მოიპოვებენ სამართლიან დამოუკიდებლობასო“.

დეპეშების წაკითხვის და სხვა ცერემონიალის დასრულების შემდეგ ბ-ნმა ჩხენკელმა დამსწრე საზოგადოება მეორე დარბაზში მიიწვია სადაც მათ გაუმასპინძლდნენ სუზუქი საუზმით.

## 26 მაისის საქართველოდა გერმანია.

(დასასრული. იხ. „ქ. ა.“ № 73)

თვით საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო 1920 წ. მაისის 7-ს შემდეგი მთავარი ვალდებულებით: რუსეთი სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და ნებაყოფლობით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ... (იქვე)

**გერმანელები მიდიან საქართველოდან.**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამეფო დაყოფილი იყო სამ სამეფოდ, თვითეული მათგანი, მოკიდებული 15-ტე საუკუნიდან, ეძებდა მოკავშირეს, მფარველსა და დამხმარეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

„მეფე კონსტანტინე 15-ტე საუკუნეში გზავნის დელეგაციას რომში... ესპანეთში, რომ პაპსა და ესპანეთს კავშირი შეეკრათ ოსმალეთის იმპერიის წინაალმდეგ“ (იხ. დრ. ი. ერჰზრნი: კაუკასიენ, ბერლინი, 1942. გვ. 47)

„ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე შეეცადა დახმარება მიეღო ევროპისაგან. ის აგზავნის სახელგანთქმულ მწერალს სულხან საბა ორბელიანს საფრანგეთის მეფესთან. ორბელიანს ორჯერ ჰქონდა შეხვედრა ვერსალში ლუდოვიკ 14-სთან. არაფერი დახმარება არ მოჰყოლია მას და 1716 წელს ორბელიანი ბრუნდება სამშობლოში“. (იხ. ა. სანდერსი: კაუკასიენ, მიუნხენი, 1942, გვ. 231)

დასავლეთმა ევროპამ ვერ გამოიღო ხელი საქართველოს დასაცავად. საქართველო კვლავ დარჩა შემორკალური მუსლიმანური მძლავრი იმპერიებით: ოსმალეთით და სპარსეთით. ამ რკალის გარღვევას ოდიდანვე ლამობდნენ ქართველი მეფეები. ევროპა არ მოვიდა და ბოლოს მფარველად და მოკავშირედ რუსეთი იქნა მონახული.

„მეფე ერეკლე მეორე 1783 წელს რუსეთთან დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ის თავს ივალდებულებს საქართველოს საგარეო პოლიტიკა შეუთანხმოს რუსეთისას და ხელი აიღოს მის დამოუკიდებლად წარმოებაზე. საქართველოს აღუთქვეს თავისი ტერიტორიის განუყოფელოა. რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო სამეფოს შინაურ საქმეში, და მომავალში, სამეფო ტახტზე მემკვიდრეობით უნდა ასულიყვნენ ბაგრატიდების დინასტიიდან. დადებული ხელშეკრულების თანახმად რუსეთმა საქართველოში გააგზავნა ჯარი, მაგრამ კრიტიკულ მომენტში რუსის ჯარმა დატოვა საქართველო და რუსეთმა არ დაიცვა ის. 1795 წელს ტფილისი აღა მაჰმად ხანმა აიღო და დაანგრია. 1800 წლისდეკემბრის 28-ს მეფე გიორგი 12-ტე გარდაიცვალა და ტახტის მემკვიდრე რუსეთმა სამეფო ტახტზე არ დაუშვა“ (დრ. ი. ერჰორნი: კაუკასიენ, ბერლინი, 1942, გვ. 48-49).

რუსეთი მოვიდა საქართველოში, როგორც დამპყრობელი და არა როგორც მოკავშირე. მან საერთაშორისო ასპარეზზე დაასუსტა საქართველო, ხელი შეუწყო სამეფოს შიგნით არეულობას და ბოლოს ერთი კალმის მოსმით, 1801 წელს, ანექსია მოახდინა მსოფლიოში ყველაზე უძველეს სამეფოსი.

„1801 წლის სექტემბრის 12-ს გამოვიდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი, აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ“ (იხ. დი ფოლკეერლიხე შტელუნგ დერ რეპუბლიკ გეორგიენ. ეინ გუტახტენ ფონ პროფესორ ფონ ლისცტ. ბერლინი 1918, გვ. 2).

117 წელი იბატონა რუსეთმა საქართველოში და ბოლოს თვითონ წავიდა,, მიატოვა რა საქართველო პირისპირ ოსმალეთის საშიშროების წინაშე.

„მსოფლიო ომმა საქართველო გაანთავისუფლა რუსეთის ბატონობისაგან. დღეს რუსეთის უზენაესი ხელისუფლება სავსებით წასულია საქართველოდან. რუსის ჯარმა უკანასკნელ კაცამდე მიატოვა ეს ქვეყანა და მასთან ერთად თვით რუსის მოხელეებმა, მათი ადგილი ქართველებმა დაიკავეს“ (იხ. ჟური „შტერნი“, 1961, ჰამბურგი)

1918 წელს საქართველოში მართლაც მოვიდა ევროპა და ეს პირველი ევროპიული ერი გერმანია იყო, რომელმაც პირნათლად შეასრულა დაპირებული სიტყვა საქართველოს მიმართ. ამას ქართველი ადამიანი არასოდეს არ ივიწყებს მიუხედავად იმ პირობებისა, რაც დღეს საბჭოეთში არსებობს.

„სიტყვა „გერმანელი“ დღესაც ტკბილად ჟღერს ამ ხალხში... 1918 წელს, რაღაც ცოტა ხნით, ომის დასრულებამდე გერმანულმა ჯარმა თავისუფლება მოუტანა ქართველ ხალხს“ სწერს ერთერთი გერმანელი გაზეთის კორესპონდენტი, რომელიც ტფილისში იყო 1961 წელს, როგორც ტურისტი. „გერმანელები კარგი ხალხია... მამაცი ხალხია (იხ. ჟურ „შტერნი“ 1961, ჰამბურგი) ამას სწერს ჟურნალ „შტერნის“ კორესპონდენტი, რომელიც საქართველოში იყო და საუბარი ჰქონდა ზოგიერთებთან.

**1918 წლის ნოემბერს, გერმანიაში მოხდა** რევოლუცია და გერმანელები გავიდნენ საქართველოდან. „გერმანული ჯარი იდგა კავკასიაში და იქ დღესსაც დაუვიწყარია სახელი ამ ჯარის სარდლის ,გენერალ კრესფონ ,კრესენშტაინისა... იქ იყვნენ მისი მამაცი რაზმები. 1918 წლის შექმნილი ვითარებით გერმანულ ჯარს უნდა დაეცალა საქართველო. ქართველებმა, როგორც ეს მათ რაინდულ ბუნებას სჩვევია დიდი პატივით გააცილეს ისენი...ამით გერმანელები დიდი მადლობელი იყვნენ და დარჩებიან“ (იხ. ფონ ვესენდოკი: აუს დერ კაუკაზიშენ ველტ, ბერლინი, გვ. 144-145).

საქართველო კვლავ მარტო დარჩა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ამას ზედ დაერთო ინგლისის ჯარის შემოსვლა კავკასიაში. გერმანელები მიდიან: რა ქნას საქართველომ? „საქართველო ჩამოკიდებულია ჰაერზე. გერმანია მიდის. ქართველებმა კარგად იციან, რომ ინგლისი უკვე აქ არის. რა უნდა ჰქნას საქართველომ? გერმანიის გარეშე ერთხელ იქნება რუსეთის ხელში ჩავარდება.( იხ. ჰერბერტ ფოლკი: ოილ უნდ მოჰამედ, ბრესლაუ 1937, გვ. 239). ეს ასეც მოხდა. 1920 წელს ინგლისელები გავიდნენ კავკასიიდან გერმანელების გასვლის შემდეგ და 1921 წლის თებერვალს, საბჭოთა რუსეთმა დაარღვია რა ცალმხრივად საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის მაისის 7-ს დადებული ხელშეკრულება, მოულოდნელად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს და დაიპყრო.

„1921 წლის თებერვლის 11-ს; საბჭოთა კავშირის წითელი არმია შეიჭრა საქართველოში (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორიანის საპასუხოდ.

(დასასრული. იხ. „ქ. ა.“ № 73)

სოციალიზმის ცნობილი რევიზიონისტი, ენგელსის ერთგული მოწაფე და კაუცკის მასწავლებელი,—ბერნშტაინი. ამ საკითხებში ყველაზე შორს წავიდა, ხოლო ამის შესახებ სხვა დროს. ცხოვრების სინამდვილემ, ბერნშტაინი სავსებით გაამართლა, შემდეგში მას ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა. სინდიკალიზმის თეორეტიკოსი სორელი, რეფორმების წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა. მარქსიზმის მთავარ საფუძვლად ის კლასთა ბრძოლას თვლიდა და მისი დატოვება, თუნდაც დროებით, მომაკვდინებელ ცოდვათ ესახებოდა. სორელის აზრით, რეფორმისტების პოლიტიკამ რევოლუციური სულისკვეთება ძალზე შეასუსტა. რევოლუციური განწყობილება მხოლოდ მუშათა კლასში ღვიოდა და ამიტომ რევოლუციური მოძრაობის დაყრდნობა, მკვეთრი კლასიური ბრძოლის წარმოება და არა ბურჟუაზიულ მთავრობებთან თანამშომლობა მიაჩნდა მას ნამდვილ მარქსიზმად. სოციალისტური პარტიები და მუშათა კლასის სინდიკალური მოძრაობა, სორელის ნაჩვენებ გზას არ გაჰყვა და ის მალე დავიწყებას მიეცა. ამ რიგად, ორტოდოქსალურმა რეფორმატულმა მარქსიზმა ორივე ფრონტზე—მემარცხენე რევოლუციურ სინდიკალიზმის და მემარჯვენე რევიზიონისტურ იდეებზე გაიმარჯვა. ცხოვრებამ ბერშტაინი გაამართლა. რეფორმისტული სოციალიზმის ევოლუცია სწრაფი განვითარებით წარიმართა. რევოლუციონიზმის მღაღადებლები სიტყვიერ ფრაზეოლოგიის ფარგლებს ვერ შორდებოდნენ, ევროპის სოციალისტურ მოძრაობაში არც რაიმე სერიოზული დასაყრდენი ჰქონდათ.

ერთ-ერთ სოციალისტების ინტერნაციონალურ კონგრესზე ჟორესი გერმანელ სოციალ დემოკრატებს ახდილად უსაყვედურებდა, რომ ისენი რევოლუციურ უძლურებას სქელ საბურავში ახვევდნენ, თავიანთ უმოქმედობას და უმწეობას თეორიულ ფორმულებში მალავდნენ. ამ თეორიულ ფორმულებს, იმავე ჟორესის დამოწმებით, კაუცკი და სხვა სოციალიზმის თეორეტიკოსები, მათ უხვად აწვდიდა. როგორც ცნობილია, ბოლო ხანებში კაუცკისაც ეჭვი შეჰქონდა დასავლეთის რევოლუციურ შესაძლებლობა-ენერგიაზე. მის ერთ წერილში (სლავები და რევოლუცია—1902 წ.) ის ითვალისწინებდა, რომ რევოლუციური მოძრაობის ცენტრი აღმოსავლეთ ევროპის და აზიისკენ გადაინაცვლებდა. მისთვის მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სლავები, მათ შორის რუსეთიც, გაყინულ სივრცეს წარმოადგენდა, რომელმაც დააჭკნო ხალხთა გაზაფხულის ყვავილები, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნდა გვიან მაინც დაიძროდა გამალებული რევოლუციური ქარიშხალი, რაც ხალხებს მოუტანდა ახალ დიად გაზაფხულს.

რევოლუციამ მართლაც აღმოსავლეთ-აზიისაკენ გადაინაცვლა, მაგრამ მას 'დიდ გაზაფხული“ არ მოუტანია. რა თქმა უნდა კაუცკის წინასწარმეტყველობა არ გამართლდა. ბედის ირონიამ ისტორიის ბუნებრივი განვითარება უკუღმა შემოატრიალა. რევოლუციურმა მარქსიზმმა დასავლეთ ევროპის ინდუსტრიალური ცივილიზაცია დასტოვა და აგრალურ, ნახევრად ფეოდალურ ქვეყნებს შეეხიზნა. ბოლშევიკებმა „ობიექტიურ განვითარების კანონები“ უკუღმართად გამოიყენეს და სოციალიზმის მაგივრად თავიანთ სამფლობელოში მონათმფლობელობა დაამყარეს.

ამრიგად, ორიანის დებულება: „რევოლუციონერების ევოლუცია“, ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან სოციალისტური მოძრაობა იმთავითვე რეფორმების გზას დაადგა, მაშასადამე, რევოლუციის გზით არ წასულა. მით უფრო რევოლუციონერების ევოლუცია ვერ მოხდებოდა, ვინაიდან პოლიტიკურ ბრძოლაში ისენი ლეგალურ საშუალებას იყენებდნენ და არა რევოლუციურ მეთოდს ბურჟუაზიულ წყობილების და კაპიტალისტური სისტემის ძალდატანებით გარდასაქმნელად.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მისი იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ სიძლიერის გამო, საერთაშორისო სოციალიზმის მოძრაობაში დიდი გავლენა ჰქონდა. მის გავლენას უფრო მეტად განიცდიდა ყველა აღმოსავლეთ ევროპის ერები, რუსეთის ჩათვლით, ასევე ბალკანეთის ერები. სკანდინავიაში სოციალიზმის გაძლიერება შექმნილმა ისტორიულმა გარემოებამ განაპირობა. მეორე მსოფლიო ომის წინ და შემდეგ, საპარლამენტო არჩევნებში ყოველთვის სოციალისტები იმარჯვებდნენ. ბევრი სოციალური რეფორმების გატარებით, მათ შესძლეს საყოველთაო ნდობა დაემსახურებინათ. მხოლოდ, როგორც ჩემს წერილში იყო აღნიშნული, მართალია ხელს უწყობენ ისენი საზოგადოებრივ მეურნეობის განვითარებას (მუნიციპალიტეტური მეურნეობა, მწარმოებელ და სამომხმარებლო კოოპერაცია და არტელები), მაგრამ სრულებით არ არის შეზღუდული კერძო თაოსნობაზე დაყრდნობილი მეურნეობა, ასე, რომ ჩვენ იქ ვხედავთ სოციალიზმის და კაპიტალიზმის ნამდვილ ჰარმონიულ თანაარსებობას, რამაც დიდ უმრავლესობას სარგებლობა მოუტანა, მათი კულტურული და მატერიალური კეთილდღეობა ძალზე აამაღლა. ეს ფაქტია და ფაქტის უარყოფა არ შეიძლება. ამ ფაქტის უარყოფას ხრუშჩოვი მოსწრებული გამოთქმებით შეეცადა, მაგრამ ამაოდ. ალაგ უხეირო თქმას უთქმელობა ამჯობინა და სწორედ ეს აღნიშნეს გაზეთებმა. მეც ეს ვთქვი: ხრუშჩოვმა, როცა იქ უკეთესი სოციალიზმი დაინახა, სიტყვა ბანზე ააგდო და სულ სხვა რამეზე გააბა მასლაათი, ხან კი დუმილი და გაჩუმება არჩია. „სიტყვა პირში ჩავარდნია“ მე არ მითქვავს, ეს ორიანმა ტყვილა უბრალოდ მომაწერა. მაგრამ მაშინ ამის ნიშნები აშკარად ჩანდა, ახლა კი ორიანმაც უნდა დაიჯეროს, რომ ხრუშჩოვს, არა თუ სიტყვა პირში აქვს ჩავარდნილი ცოცხალ კაცს, არამედ სამუდამოდ აეკრძალა, არამც თუ პოლიტიკურ საკითხებზე, არამედ თავისთავზედაც საუბარიც კი და როგორც დიქტატორულ რეჟიმს შეშვენის, ის დამუნჯების ნირვანაში არის გამომწყვდეული.

რაც შეეხება, რომ „სკანდინავიის ქვეყნებში მონარქებიც არიან და სოციალისტები იძულებულნი არიან მონარქებს ერთგულება შეფიცონ“, **ორიანი ამას დიდ მნიშვნელობას აძლევს**, ჩვენის აზრით ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან, მართალია იმ ქვეყნებში ტახტზე მეფეები სხედან, ისიც მართალია, რომ კონსტიტუციის ძალით, მათ ბევრი უფლებები აქვთ მინიჭებული, მაგრამ ისიც მართალია, რომ ისენი დიდი ხანია ამ უფლებებით აღარ სარგებლობენ. პოლიტიკურ-სოციალურ ცვლილებების გამო, მათი უფლებრივი მდგომარეობა თითქმის ფიქტიურია, ან როგორც იტყვიან: მეფობენ და სახელმწიფოს აღარ განაგებენ. პოლიტიკურად, სოციალურად და ეკონომიურად ისეთი სტაბილური რეჟიმი დამყარდა, რომ მათ ტახტს რევოლუციით არავინ ემუქრება. კონსტიტუციური მონარქია ინგლისშიც არის და იქაც კორექტიული ურთიერთობა სუფევს მუშათა პარტიასა და მონარქს შორის, რევოლუციის საფრთხე არც იქ არსებობს. როგორც მოგეხსენებათ, ამ ჟამად, სადაც მეფეები ტახტზე სხედან, ყველა მათგანი ეროვნული მთლიანობის გამომხატველნი არიან და მეტი არაფერი. ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყნების პრეზიდენტების უფლებებიც კი არა აქვთ. პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ნაკლებად ერევიან. ხალხის უმრავლესობის ნებელობის აღმასრულებლად ითვლებიან, როგორც სახელმწიფოს მეთაურნი ფორმალურ დასტურს აძლევენ არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას და მას ნდობას უცხადებენ. მთავრობა არის სოციალისტური. თუ არასოციალისტური, მეფეს კი არ ფიცავენ ერთგულებას, არამედ კონსტიტუციას, რომლის დამცველად მეფე ითვლება, ისე როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოებში პრეზიდენტები კონსტიტუციის ძირითად კანონების დაურღვევლობის გარანტად ითვლებიან.

ს. ჭირაქაძე.

### 26 მაისის საქართველო და გერმანია

საბჭოთა კავშირი არ არსებობდა. საბჭოთა კავშირი დაარსდა 1922 წლის დეკემბერში) წითელი არმია, რომელიც გამგრძელებელი იყო ცარისტული ექსპანსიის პოლიტიკა. ის შეიჭრა საქართველოში ომის გამოუცხადებლად. ახალგაზრდა ქართული მხედრობა მამაცურად იბრძოდა, მაგრამ რას გახდებოდა ძლიერი რუსეთის სახელმწიფოსთან“ (ჟურ. „ატლანტის“ №10, ფრაიბურგ ი. ბრ. 1961,)

ვიდრე წითელი არმია შემოიჭრებოდა საქართველოში, ბოლშევიკების მიერ. საქართველოს განაპირა რაიონში, სომხეთის საზღვართან ახლო მდებარე დაბა შულავერში, ინსცენირებული იყო „ქართველ მუშებისა და გლეხების აჯანყება“. იქ შესდგა „აჯანყებულთა“ რევკომი, ანუ საბჭოთა სოციალისტური საქართველოს მთავრობა. ამ „მთავრობამ“ დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთის მთავრობას. „მომდევნო წლის თებერვალში (ნაგულისხმევია 1921 წლის თებერვალი) ინსცენირებული იყო აჯანყება და წითელი არმია ორჯონიკიძეს მეთაურობით შეიჭრა ტფილისში. წითელი არმიის შეჭრის შემდეგ, საქართველოში დაიწყო სტალინის პოლიტიკით გამოწვეული შურისძიება და ჩაგვრა“. (იხ. „დინოიე ციურიხერ ცაიტუნგ“, 22.7.1964)

ეს უთანასწორო ომი ვეებერთელა საბჭოთა რუსეთსა და პატარა საქართველოს შორის 3 თვე გაგრძელდა. ათასობით მამაცი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე. „ბრძოლა გაგრძელდა თითქმის ექვსი კვირა“. (იხ. ა. სანდერსი: კაუკასიენ, მიუნხენი, 1942, გვ. 308)

საქართველომ, 117 წლის რუსეთის ბატონობის შემდეგ მოპოებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კვლავ დაკარგა. ის ეხლა მოქცეულია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, როგორც „მოკავშირე“ და „სუვერენული“ სახელმწიფო, ანუ რესპუბლიკა. მაგრამ თუ რას ნიშნავს და რა გემო და სუნი აქვს ამ „მოკავშირეობას“ და „სუვერენობას“ ეს კარგად იცის ქართველმა ერმა. ეს კარგად გაიგეს შემდეგ თვით იმ ზოგიერთმა ქართველმა კომუნისტმაც, რომლებიც მაშინ წითელი არმიის დახმარებით შემოვიდნენ საქართველოში. ზოგი მათგანი ხელისუფლებას მოექცა სათავეში, ზოგი კიდევ თვით საბჭოთა ხელისუფლებამ გაანადგურა, როგორც „ნაციონალ უკლონისტები“ და ხალხის მტრები.

ევროპაში ახსოვთ უძველესი კულტურის მქონე ქართველი ერი. მას არ ივიწყებენ და ხშირად ტკბილ სიტყვებსაც გაიგონებს კაცი უცხოურ პრესაში.

კავკასიაში ცხოვრობს დასავლეთის კულტურის, მეტად უძველესი, მეტად თავისებური და უაღრესად განვითარებული კულტურის მქონე ერი, ქართველი ერი, რომლის გაცნობა ძვირფას საგანძურს-აღფრთოვანებას მოუტანს ადამიანს. ასეთი ერი ღირსია იმისა, თუ ჩვენ არ დავივიწყებთ“ ჩარლეს ჰუმელ: გეორგიენ, ჟურ. „ატლანტის“-ში, %10, 1961. ფრაიბურგ ი. ბრ.)

მიუნხენი, 1965 წ.

მინდია ლაშაური.

## საქართველოს 19-ტე საუკუნის ისტორია.

(გადაეცა რადიო „თავისუფლებას“ მიერ)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ტფილისში გამოვიდა ისტორიკოს აბელ კიკვიძის „საქართველოს 19-ტე საუკუნის ისტორია“.

აბელ კიკვიძის ეს ნაშრომი საქართველოს 19-ტე საუკუნის ისტორიის სრული სურათის ასახვის პირველი ცდაა. ამიტომ ზოგი ერთი არასისწორენი და ნაკლულოვანებანი ეპატიება ავტორს. მაგრამ ისტორიკოსს არ ეპატიება ისტორიული ფაქტებით ჯამბაზობა, თვითნებურად დალაგება-ამორჩევა და უკიდურესი ტენდენციურობა, თავის წინასწარ აღებულ კონცეპციის გასამართლებლად. არ ეპატიება ისტორიკოსს ჰეგელის ცნობილი აფორიზმისადმი ბრმა მიბაძვა: თუ ფაქტები ჩემს თეორიას ეწინააღმდეგებიან, მით უარესი ფაქტებისათვისო. ისტორიკოსის წმინდა მოვალეობაა, ამა თუ იმ ეპოქის განხილვის ამოსავლად ამავე ეპოქის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური, რელიგიური და საერთოდ კულტურული ფონის სრული სურათი მოგვცეს. მაგრამ, როდესაც გსურთ ფეოდალური ხანის ადამიანთა მოღვაწეობის დახასიათება 20-ცე საუკუნის პოლიტიკურ შეხედულებათა თვალსაზრისით. მაშინ ყოვლად შეუძლებელია ისტორიის გაგება. მაგალითად, უკიდურესად ტენდენციურია აბელ კიკვიძის მიერ 1832 წ. შეთქმულების შეფასება. რათა ამ შეთქმულებას დაუკარგოს ნაციონალური მნიშვნელობა, ის მას აცხადებს თავქარიან თავადების ნაცოდვილარად.

ასე მოიქცა თავის დროზე მეფის რუსეთის მთავრობა, მიუხედავათ იმისა, რომ 1832 წ. შეთქმულების ნაციონალური ხასიათი მას კარგად ესმოდა. აბელ კიკვიძის ნაშრომში არა სჩანს ის მეტად საინტერესო ფაქტები, რომელიც შეთქმულთა საქმის გამოძიების დროს ოფიციალურად წარდგენილი იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ მის წინასწარ გააზრებულ დასკვნებისათვის ხელი არ შეეშალა. ყველა დოკუნენტები ნათელყოფენ, რომ ეს შეთქმულება გრანდიოზული მასშტაბით უნდა ჩატარებულიყო. მეფის მთავრობამ სცადა ზოგიერთი ფაქტის მიფუჩეჩება, მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალა და მაინც ბევრი რამ სააშკარაოზე გამოვიდა. ალექსანდრე ორბელიანმა და თამარ იულონის ასულმა, ერეკლე მეფის შვილისშვილმა პირდაპირ განაცხადა, რომ შეთქმულების მიზანი—აჯანყების მთელი კავკასიის მასშტაბით მოწყობა იყოო. აბელ კიკვიძე ამ ფაქტს განგებ არ იხსენიებს და ამის შესახებ შეგნებულა თვალს ხუჭავს, თითქოს ამგვარი რამ არც არსებულა. ავტორი „ამტკიცებს“, რომ შეთქმულთა განკარგულებაში მინიმალური ძალებიც არ იყოო და მათი წამოწყება იმთავიდვე განწირული იყოო.

მაგრამ ფაქტები სხვას ღაღადებენ. მოუსმინოთ ფაქტებს: ტფილისის თავადაზნაურობის მარშალს გამოჰყავდა 2000 კაცი, შერვაშიძეს, აფხაზეთიდან, 2000 კაცი, შეთქმულთა განკარგულებაში იყო აგრეთვე 3000 პოლონელი. ყველა ეს ციფრები შეთქმულთა პროცესზე იყო დასახელებული. აჯანყება ექვსი პუნქტიდან უნდა დაწყებულიყო. აჯანყებულთა ერთი ნაწილი ციხეს ესხმოდა თას, მეორე ყაზარმებს, მესამე არსენალს, მეოთხე სურსათ-სანოვაგის პუნქტს, მეხუთე ხაზინას, მეექვსე ე. წ. „ნავთლუგის“ კომისიას. თქმა იმისა, რომ 1832 წლის შეთქმულებას თავადაზნაურობა ედგა სათავეში და ამიტომ მის ინტერესებს პასუხობდაო, ეპოქის სრულ არ გაგებას და ისტორიის გაყალბებას ნიშნავს. ეს წოდება თავს დროზე, ერის ცხოვრებაში წამყვან როლს თამაშობდა და ამ როლის დაფასება და გაშუქება თანამედროვე თვალთახედვით უაზრობაა და მეთოდოლოგიურად მცდარი. ჩვენ არ ვეკუთვნით ფანაციკოსთა იმ კატეგორიას, რომელიც ამტკიცებს, თითქოს, ჩვენს წარსულში მგელი და თხა ერთად სძოვდნენ. რასაკვირველია, ჩვენშიაც ჰქონდა ადგილი სოციალურ უსამართლობას, უთანხმოებას და ამ ნიადაგზე აჯანყებებსაც. მაგრამ, ყველა ისტორიული საბუთები და მონაცემები ამტკიცებენ, რომ 1832 წლის შეთქმულება ატარებდა ნაციონალურ ხასიათს. ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს მთელ რიგ აჯანყებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრების შემდეგ და დასკვნის: დასაწყისში აჯანყებებს საქართველოს მეფეების დინასტიის წარმომადგენელნი უდგნენ სათავეში. ისენი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეუპოვრად იბრძოდნენ, მაგრამ მონარქიული საქართველოსთვისო, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა თავადაზნაურობა, მაგრამ თავადაზნაურულ საქართველოსთვისო. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა ქართველი გლეხობა, მაგრამ არა მონარქიულ და თავადაზნაურულ წყობისათვის, არამედ თავისუფალი და სოციალურად სამართლიანი ცხოვრებისათვისო.

მიუხედავათ იმისა, რომ თვითეულ ფენას თავისი სპეციფიური ინტერესები ამოქმედებდა, მათ შორის იყო ის მთავარი, რომელიც მათ აერთებდა და აახლოვებდა, მათთვის ის იყო საერთო და ძვირფასი... ძვირფასი,რადგანაც მისთვის იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ. ამ საერთო მიზნის საგანი კი ნაციონალური ინტერესი იყო.

თავის ნაშრომის 91 გვერდზე დაშვებული აქვს ღრმა და უხეში მეთოდოლოგიური შეცდომა. ვიღაც არქიმანდრიტი ელეფთერი რუსის ჯარის მეთაურის ბრძანებით, წაუყვანია ის სადღაც მთებში და უჩვენებია აჯანყებულთა პოზიციები. ამ ერთად ერთ ფაქტს აბელ კიკვიძე ანზოგადოებს, ფაქტს საეჭვოს, და მთელი საქართველოს სამღვდელოება ქვეყნის მოღალატედ გამოჰყავს. როგორ უნდა გავიგოთ ეს, როგორ უნდა ავხსნათ? მხოლოდ თავაწყვეტილი ტენდენციურობით? გაუგებარია, ვის რაში სჭირდება ჩვენი ისტორიული წარსულის ასეთი ფალსიფიკაცია? მაგრამ, დროა მეცნიერებამ მაინც თავი დააღწიოს შურისძიების გრძნობას, განთავისუფლდეს ტენდენციურობიდან და ხელი მიჰყოს საქართველოს ისტორიის დამუშავებას, არა საპროპაგანდო განყოფილების რეცეპტით, არამედ ქართული ისტორიული მეცნიერების მამის, ი. ჯავახიშვილის რეცეპტით. ეს იქნება უფრო მიზანშეწონილი და უფრო სასარგებლო, როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე მეცნიერებისათვის.

### ღ. პ. ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ შესაძლებლობა მოგვცეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადო ყველას, როგორც თანამემამულეებს, ისე უცხოელ მეგობრებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩემი მწუხარება და ან პირადი დასწრებით, ან წერილობით თანაგრძნობა გამოგვიცხადეს ჩემი მეუღლის გარდაცვალების გამო.
მი მეუღლის გარდაცვალების გამო.

პ—მით ლ. აბდუშელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამოუკიდებლობის დღესასწაულები

სომხური სათვისტომოს გამგეობამ, სასომხეთის დამოუკიდებლობის 48-ვე წლისთავი გადაიხადა მაისის 29-ს, სასტუმრო სტატლერ ჰილტონის დარბაზში.

დარბაზი მორთული იყო სომხურ-ამერიკული ეროვნული დროშებით.

კრებას, სომხების გარდა, მრავლად დაესწრნენ რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების წარმომადგენლები და ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეები.

საზეიმო კრება გახსნა დამოუკიდებელი სასომხეთის ამერიკული კომიტეტის თავმჯდომარე ა. შამანიანმა, შ. შ.-ის და სასომხეთის ეროვნული ჰიმნების შესრულებით. მადლობის და მილოცვის შემდეგ შამანიანმა წაიკითხა უცხოელ და კავკასიელ მეგობრებისგან გამოგზავნილი წერილები და დეპეშები. თავის სიტყვაში მან გულთბილად მოიხსენია კავკასიის ერების დამოუკიდებლობის გაერთიანებული ზეიმი და გაერთიანებული კავკასიის ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფს უსურვა ამ ახალი ორგანიზაციის შესაქმნელად წარმოებული მუშაობა წარმატებით დაეგვირგვინებინოს. მან განაცხადა, რომ რუსული იმპერიალიზმი ვერ ჩაჰკლავს სომხების თვითარსებობის და დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებას და „სასომხეთის განთავისუფლება და მისი სუვერენობის აღდგენა მხოლოდ დროს საკირხია“-ო. სხვა ორატორთა შორის სიტყვა წარმოსთქვა ვ-ნ ა. ჩხენკელმა, რომელიც კრების თავმჯდომარის მიერ წარდგენილი იყო როგორც გაერთიანებული კავკასიის ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფის და თვით ოდგანიზაციის თავმჯდომარე. ამ განცხადებას კრება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

ა. ჩხენკელმა მადლობა გადაუხადა ბ-ნ შამანიანს მოწვევისათვის და განსაკუთრებით იმ დახმარებისათვის, რომელიც მისმა თანამემამულეებმა გაერთიანებული კავკასიის საინიციატივო ჯგუფს აღმოუჩინეს კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის საზეიმო კრების მოწყობაში. ის მიესალმა სასომხეთის წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ აზრს, რომ „მომავალში ერთად მომზადებულმა და ერთად გადახდილმა ზეიმმა ყოველ იმედს უნდა გადააჭარბოსო“.

შემდეგ სიტყვა წარმოსქვა ქართული სათვისტომოს და ეროვნული ერთობის ვიცე პრეზიდენტმა ბ-ნ ვ. სანგულიამ. ბ-ნ სანგულიას სიტყვებს მხურვალე ტაშით მიეგებნენ, როცა მან განაცხადა, რომ „ჩვენ ერთი და იგივე კულტურის, ერთი და იგივე ტრადიციის ერი ვართ და ეროვნული ჭირი და ლხინი გვაერთიანებსო“.

სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეების სიტყვები და საქციელი გვაფიქრებინებს, რომ მათში კავკასიური პოლიტიკა იმარჯვებს და მშობლიურ პოზიციებს დასტრიალებენ.

★

აზერბაიჯანის ამერიკულმა საზოგადოებამ თავისი ქვეყნის დამოუკიდევლობის 48-ვე წლისთავი დიდი ზეიმით აღნიშნა პატერსონის პლაზას დარბაზში.

დარბაზის კედლებს ამკობდა წყვილად გადაჯვარედინებული აზერბაიჯანის და შ. შ. ეროვნული დროშები.

საღამოს 8-საათზე საზეიმო კრება გახსნა აზერბაიჯანის ამერიკული საზოგადოების თავმჯდომარე რაჰიმ ბაბაოღლუმ.

ბაბაოღლუ ვრცლად შეეხო აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობისთვის წარმოებულ ბრძოლებს და აზერბაიჯანის აღფრთოვანებას დამოუკიდებლობის წლებში. „მათი მოგონება ჩვენ გზას გვინათებს, გვამჭიდროვებს და გვამხნევებს დამოუკიდებლობისთვის წარმოებულ ბრძოლებშიო“, შემდეგ მან აღნიშნა უკანასკნელ წლებში მომხდარი მოვლენები, რომლებიც საჭიროთ ხდიან კავკასიის ერების მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობას.

მოძმე ერის დამოუკიდებლობის ზეიმს ქართული სათვისტომოს და გაერთიანებული კავკასიის საინიციატივო ჯგუფის სახელით მიესალმა ბ-ნ ა. ჩხენკელი. სიტყვები წარმოსთქვეს კავკასიის და რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა წარმომადგენლებმა, რის შემდეგაც მასპინძლებმა გულუხვად უმასპინძლეს სტუმრებს.

**დამსწრე.**

---

პარიზში გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწე, მრავალჯერ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე

**შალვა აბდუშელი**

„ქართული აზრის“ რედაქცია და ეროვნული ერთობის ორგანიზაცია ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის მეუღლეს, შვილს, რძალს და მეგობრებს.

## ნეკრესის სავანე

ქართული მჭევრმეტყველობის ერთი ადრინდელი კერა, დამოწმებული ბევრი წერილობითი წყაროთი და მატერიალური გადმონაშტებით, ჩვენი ძველი ქალაქი ნეკრესია. მისი სამლოცველო ცენტრი—ნეკრესის ტაძარი დიდ ხანს წარმოადგენდა მწერლობისა და მქადაგებლობის სავანეს აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთში). დროდადრო, უმთავდესად მშვიდობიან ვითარებაში, ნეკრესის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდებოდა. ასეთ პერიოდებში ის უაღრესად ფართო შემოქმედებით მუშაობას აწარმოებდა,—ქმნიდა, იცავდა და ავრცელებდა სულიერი კულტურის საუნჯეებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ორატორული ხელოვნების ძეგლებსაც.

საისტორიო წყაროების მიხედვით ნეკრესის ტაძრის აშენება საქართველოს გაქრისტიანების ხანას მიეკუთვნება. ლეონტი მროველი და ჯუანშერი ნეკრესში ანუ ნელქარისში ქალაქის წარმოქმნასა და ტაძრის აშენებას 4-5 საუკუნეების ისტორიულ პირებს უკავშირებენ. ვახტანგ გორგასალის მეფობაში, 5-თე საუკუნის მიწურულსა და 6-სე საუკუნის დამდეგს, ნეკრესი კარგად გაშენებული უნდა ყოფილიყო. ჯუანშერის ცნობით ამ ხანებში ვახტანგს ნეკრესი შვილისათვის უძღვნია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქი უკვე ღირსშესანიშნავ ადგილს წარმოადგენდა. სარწმუნო ცნობებით ნეკრესის ტაძარი ადრე გამხდარა კათედრის მფლობელი. ყოველ შემთხვევაში 6-სე სეუკუნეში ის ქრისტიანული სარწმუნოების ძლიერი საყრდენია, საიდანაც სწარმოებს ახალი რელიგიური მსოფლმხედველობის ფართო პროპაგანდა.

ამას გვიჩვენებს ერთერთი სირიელი მამის აბიბოს ნეკრესელის მოღვაწეობა, დაკავშირებული ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრასთან და აღწერილი მეათე საუკუნის მწერლის არსენ კათალიკოსის მიერ. ამ უკანასკნელს გამოუყენებია ადრინდელი წყაროები და შეუქმნია ნეკრესელის მარტვილობის ვრცელი აღწერილობა, რომელშიც ნათქვამია: „შუამდგომელი ღმრთისა და კაცთაი ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, რომელი ორთა განწყობილთა კრებულსა წმიდათასა წარმოდგა მღვდელობისა საყდრისა მოდგმათა მათ თანა უბიწოთა საყდარი დაიპყრა“.

არსენ კათალიკოსის ქმნილება ჩვენთვის სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ერთგან აქ აღბეჭდილია პოლემიკური დიალოგი აბიბოს ნეკრესელსა და ცეცხლთაყვანისმცემლობის დამცველთა შორის. ეს ცოცხლად გადმოცემული პაექრობა, უწინარეს ყოვლისა, ავტორის მჭევრსიტყვაობას გვიჩვენებს, მაგრამ, შესაძლოა, პერსონაჟის ორატორულ ღირსებასაც მიუთითებდეს. ეს საფიქრებელია თუნდაც იმიტომ, რომ სირიელ მამათა ერთი დამსახურება კერპთაყავანისმცემლობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლაა. ამ ბრძოლაში ცოცხალ სიტყვას, რა თქმა უნდა, დიდი სარბიელი ექნებოდა. სჩანს, ასეთი სიტყვის წარმომადგენელი იყო აბიბოს ნეკრესელი.

ასეა თუ ისე, ნეკრესის კათედრა თავიდანვე სიტყვისა და აზრის კერად ქცეულა და ეს დანიშნულება დიდ ხანს შეუნარჩუნებია. მისი უკანასკნელი აყვავების ხანა 18-ტე საუკუნის მეორე ნახევარია. ამ ხანაში ცნობილია ორი დიდი ნეკრესელი: დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და ამბროსი მიქაძე. მათი მოღვაწეობის პერიოდში ნეკრესის ტაძართან პირველდაწყებითი სკოლაც არსებობდა. ამ სკოლის მესვეური, ცნობილი სასულიერო მოღვაწე, მწერალი და პედაგოგი დ. ჩერქეზიშვილი მჭევრმეტყველების სფეროშიაც ღვაწლმოსილია: მისი მონაწილეობით შეიქმნა ქართულ ენაზე რიტორიკის პირველი სახელმძღვანელო.

გაცილებით მეტი დამსახურება მიუძღვის ორატორული ხელოვნების დარგში ამბროსი ნეკრესელს. ის ქართული სასულიერო მქადაგებლობის გამოჩენილი ოსტატია. მისი შთამაგონებელი ხმა თითქმის 30 წლის მანძილზე გაისმოდა ნეკრესის ტაძრის ამბიონიდან.

ჩვენი საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში თითქმის ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეფის კართან არსებული კრება, რომელიც წარჩინებულ საერო და სასულიერო პირებს აერთიანებდა. ასეთი კრება წარმოადგენდა რჩეულთა სათათბიროს, რომელიც სხვადასხვა პირობებში მეტ-ნაკლები გავლენით მონაწილეობდა ქვეყნის მართვასა და გამგეობაში. მეფის კარზე „ჩინებული“ ადამიანები შეადგენდნენ „დარბაზის ერს“ და ქმნიდნენ „სავაზიროს“, რომელიც უზენაესი ხელისუფალის—ხელმწიფის მეთაურობით არჩევდა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებს. ასეთ ორგანოს წარმოადგენდა დარბაზი. ეს სახელი შედარებით სრულიად გამოხატავს იმ ისტორიულ დანიშნულებას, რაც მეფის კარზე არსებულ დიდებულთა სათათბიროს გააჩნდა. სახელმწიფო დარბაზი ფაოდალური საქართველოს ერთგვარი საბჭოა, რომელიც თვალსაჩინო პოლიტიკური მისიის მატარებელი და საკმაოდ დიდი ძალის მქონეა. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ სისტემაში მონარქის ძალა-უფლება რამდენადმე შეზღუდულია. მეფე განუკითხველად არ განაგებს ქვეყნის ცხოვრებას—ნებით თუ უნებლიეთ ის განსაზღვრული აზრით გარკვეულ ძალას ემორჩილება. ასეთი ძალა მხოლოდ სახელმწიფო დარბაზს გააჩნდა— ის ზღუდავდა რამდენადმე მეფეს და მისივე მრჩევლის მოვალეობას ასრულებდა. ამგვარ ურთიერთობას კარგად გამოხატავს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი. მისი სიტყვით მეფე სახელმწიფო საქმეებს განაგებს „თანდგომითა და ერთნებობითა“. აქ მოცემულია ფეოდალური საქართველოს მონარქიული წესწყობილების ერთგვარი ფორმულა, რომლის მიხედვით მეფე სახელმწიფოს მართავს თანადგომით, ანუ თანხმობით და ერთნებობით, ანუ ერთობით, ე. ი. დარბაზის ერთან შეთანხმებით და მასთან ერთად. ამ რიგად მეფესა და დარბაზს შორის მიღწეული თანხმობა და განმტკიცებული ერთობა მიჩნეულია აქ ქვეყნის პოლიტიკური მართვის საფუძვლად. ასეთი შეთანხმება-ერთიანობის უმთავრეს საშუალებას წარმოადგენდა დარბაზის ბჭობა-თათბირი. ამგვარად, სახელმწიფო დარბაზის შინაარსს მაღალი პოლიტიკური ფუნქცია საზღვრავდა, ხოლო ხოლო ფორმას —ფართო ორატორული ბჭობა-თათბირი.

ამ სახითაა ნაჩვენები სახელმწიფო დარბაზი საისტორიო პირველწყაროებში.

**ქართული მჭევრმეტყველება**

## ნიკო ნაკაშიძე (1899-1966 წ.)

ომი... ომი მთელი თავისი მრისხანებით და გამანადგურებელი შედეგებით... მართალია მთელი კაცობრიობა ყოველი ომის შემდეგ ცდილობს, რომ მომავალი ომი თავიდან აიცილოს, მაგრამ ომი მაინც ხდება. მით უმეტეს, როდესაც მცირერიცხოვან ერს, მრავალრიცხოვანი, კეთილშობილ-მეზობლურ გრძნობა ნაკლულოვანი და სხვისა საკუთრების მითვისების სალერღელ აშლილი მოსაზღვრე ჰყავს.

ჩვენ შემთხვევაში რუსეთი ამართლებს ამ უცილო დებულებას. მონგოლების წყალობით გაძლიერებული მოსკოვის სამთავრო უზარმაზარ იმპერიად იქცა და მისი იმპერიალისტური მადა ვერაფერმა დააცხრო.

ქართველი ხალხისათვის ისტორიულ უბედურებად იქცა ჩინგიზ ხანის ტრადიციებზე დაშენებულ მოსკოვის სამეფოს გაძლიერება.

ომი შინ... ომი გარეთ. როდესაც სამშობლოს საზღვარს დამპყრობელი მოადგება, ყოველი კეთილშობილი მოქალაქის მოვალეობაა სამშობლოს საზღვარი დაიცვას და რათა მტერმა ვერ გადმოლახოს იგი „აქოლოს მკვდრებით ქალაქის კარი“ თუ მტერმა მაინც სძლია, ომ წაგებული შემდეგ განაგრძობს საომარ მოქმედებას და გადამწყვეტი ბრძოლის მისაცემად ხალხსა რაზმავს და ამზადებს. თუ აქაც მტერმა დაასწყო და უყელთა, მებრძოლთა კადრი უცხოეთში იხიზნება, იქ საზოგადოებრივი აზრის დასამუშავებლად, მეგობრისა და მოკავშირეს საშოვნელად.

ასეთია ყოველი კეთილშობილი მოქალაქის ზნე და ბუნება...

ასეთი იყო ნიკო ნაკაშიძე, როგორც ქართველი და მამულიშვილი.

უბიწო მამულიშვილი, სპეტაკი ბუნების და პატრიოტული მგზნებარების მაღალი გამომეღავნება.

ნ. ნაკაშიძე ჯერ ისევ ყრმობაში განიმსჭვალა ქართველი ერის სევდით და მწუხარებით. „მისი წყლული აჩნდა წყლულად, ეწოდა მის ტანჯვით გული“... „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო“, მისი სიცოცხლის მიზანი, მოქმედების, ზრუნვისა და ფიქრის განუშორებელი ზრახვა იყო. მას შეალია თავისი დაუშრეტელი ენერგია, ღვთით ბოძებული ნიჭი და უნარი.

1918-21 წლებში ნ. ნაკაშიძე სამი ომის მონაწილეა და იარაღით ხელში იცავს სამშობლოს საზღვრებს. ყველაზე მრისხანე კი 1921 წლის თებერვალი იყო, როცა ჩინგის ხანის მრისხანების მემკვიდრეები წითელი დროშით მოადგნენ საქართველოს საზღვრებს...

ამ დროს ის უკვე ოფიცერია... დაუყონებლივ მოედო საქართველოს დაბა-ქალაქებს, ყოველ კუთხეს, ყოველ სოფელს და შთამაგონებელი მეტყველობით ხალხში ზრდიდა მამულისადმი მიძღვნილობის გრძნობას... ადგენდა მოხალისეთა რაზმებს და ბრძოლის ველზე მიუძღოდა. მაღალი თავდაუზოგველობის მაგალითს აძლევდა მიმყოლებს და მათში გმირული თავდადების გრძნობას აღვივებდა.

მაგრამ ბარბაროსობამ ერთხელ კიდევ დაჯაბნა ქართველი ერის სიმხნევე და რუსული ურდო შავ ღრუბლად გადაეფარა საქართველოს მოკაშკაშე ცას. ქართველი ხალხი ჩაიკეტა თავის პიროვნებაში, გამარჯვებულ დამპყრობელს შეურიგებლობით უპასუხა და საქართველო არალეგალური ბრძოლის ორგანიზაციებით დაიქსელა. ნ. ნაკაშიძე აქაც ერთი პირველთაგანი იყო. მისი მჭევრმეტყველობის უნარით, პირუთვნელი სიტყვით განმსჭვალულნი დღესაც მრავლად არიან.

არც ეს გამოეპარა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების ჯალათს და 1922 წელს ნ. ნაკაშიძესაც შეეხო მისი მსახვრელი ხელი... ის მოსწყვიტეს მშობლიურ მიწა-წყალს და მას მშობლიური ჰაერი დაანატრეს...

აქედან იწყება მისი მოღვაწეობის ახალი ხანა.

საჭირო იყო ახალ გარემოებასთან შეგუება, ახალი გზების და ბრძოლის ახალი მეთოდების ათვისება, რათა საქართველოს გამანთავისუფლებელ ბრძოლას მეტი მოკავშირე და მეგობარი ჰყოლოდა.

ან კი ვინ შეიძლება უფრო ერთგული და ურეზერვო მეგობარი და მოკავშირე იყოს, თუ არა ის ერები, რომლებიც ჩვენებრ განიცდიან რუსული ბარბაროსული მპყრობელობის სიმწვავეს?

ამიტომ მან მთელი ძალა და ენერგია შეიტანა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა გაერთიანებაში, სადაც მის ნიჭს, უნარს და გამოცდილებას აფასებდნენ და ამ გაერთიანების გენერალური მდივანიც გახდა.

ორმოცდარვა წლის მანძილზე წარმოებულ ბრძოლაში ნ. ნაკაშიძემ გამოავლინა ქართველი მამულიშვილის ყოველი თვისება და მაღალი ზნეობა, რომელსაც ქართველი ერის დიდი ეროვნული მემკვიდრეობა გვაძლევს.

ორმოცდარვა წლის შემდეგ, სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის ორმოცდარვა წლისთავის წინა დღეს ის დაეცა ბრძოლის ველზე...

ნეტარ არიან სამშობლოსთვის აღსრულებულნი, რადგან „სულნი მათნი ზეცას რბიან“

ნეტარი იქნება ბრძოლაში დაცემულ ნიკოს ხსოვნაც.

**მ. სინდიკელი.**

---

★

ივნისის 9-ს, ბერძნულ მართლმადიდებელ კათედრალში „ქართული აზრის“ რედაქციის და ეროვნული ერთობის ორგანიზაციის თაოსნობით გადახდილ იქმნა **ნიკო ნაკაშიძეს** სულის მოსახსენებელი პანაშვიდი. სწირა კათედრალის მოძღვარმა მამა ბოკაპულოსმა.

იმავე დღეს გადახდილ იქმნა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც ქართველების გარდა დაესწრნენ ანტიბოლშევიკური ბლოკის ამერიკული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სამგლოვიარო კრებას ხელმძღვანელობდა ეროვნული ერთობის თავმჯდომარე ბ-ნი გ. ზალდასტანიშვილი. შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა განსვენებულის მაღალი მამულიშვილური ბუნება და ანტირუსულ, ანტიკომუნისტური ბრძოლი უებრო მიძღვნილობა. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: მამა ბოკაპულოსმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ქართველი ერის მებრძოლ და მაღალი შემოქმედების უნარს და დასძინა: „ყოველი ქართველის დაკარგვით ქრისტიანული და თავისუფლებისთვის მებრძოლი სამყარო ჰკარგავს დიდი გამოცდილების, მაღალი რწემნის მებრძოლსო“.

სიტყვები წარმოსთქვეს ანტიკომუნისტურ ბლოკის წარმომადგენლებმა, ვ-ნ ა. ჩხენკელმა და მ. სინდიკელმა.

---

მაისის 25-ს, მიუნხენში გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთი მეთაურთაგანი და ანტიბოლშევიკური ბლოკის გენერალური მდივანი

**ნიკო ნაკაშიძე**

„ქართული აზრი“-ს რედაქცია და ეროვნული ერთობის ორგანიზაცია ღრმა თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და მეგობრებს.

---

**G. A. Press**
114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.

ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზეც.

---

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

*Mr. G. Djakeli*
*535 E. 78 Street,*
*New York, N. Y. 10021*

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

---

*EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.*